

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი ახორციელებს პროექტს: „ბავშვზე ორიენტირებული სკოლის ადვოკატირება“. პროექტს აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMII) „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში.

პროექტის მიზანია: ბავშვზე ორიენტირებული სკოლის ადვოკატირება.

პროექტი განხორციელდება თბილისსა და ბათუმში.

ადვოკატირების პროცესში ჩატარდება კვლევა, რომელიც საზოგადოებას გააცნობს:

- უსაფრთხო სკოლის არსებული გარემოს შესახებ მოსწავლეების, სკოლის თანამშრომლებისა და მშობლების შეხედულებებს;
- დეცენტრალიზაციის ხარისხს – გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სკოლის როლს.

ადვოკატირების პროცესში განათლების ექსპერტები მოამზადებენ პუბლიკაციას პროცესზე ორიენტირებული სკოლების შესახებ (კლასის მართვის მიდგომები, სკოლის გარემოს ეფექტური ორგანიზება), ასევე ტრენინგ პროგრამასა და უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის დოკუმენტს. მომზადებული მასალების საშუალებით დაიბეჭდება პუბლიკაცია, რომელიც გავრცელდება საჯარო სკოლების წარმომადგენლებს შორის.

უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის დოკუმენტის სამიზნე იქნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **N 837-ე ბრძანება**.

მედია ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად მომზადდება სიღრმისეული რეპორტაჟი და საგაზეთო სტატიები, ჩატარდება სატელევიზიო დისკუსიები;

ადვოკატირების პროცესში დაგეგმილია პოლიტიკური დიალოგი გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, პარლამენტის წევრებთან. შედეგები გამოქვეყნდება და წარედგინება პარლამენტის წევრებს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ადგილობრივ არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებს.